საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
მინისტრის მოადგილე

ბრძანება

ქ. თბილისი

№ 00018939

02/06/2023

2023 წლის 2 ივნისის
წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის N229 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილისათვის იოსებ ბაღათურიასთვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 13 აპრილის N2024 ბრძანების მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის შორენა ციცაგის 2023 წლის30 მაისის მომართვის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სტუმრებისათვის (უნგრეთის დელეგაცია, ვიცე-პრემიერის ხელმძღვანელობით) 2023 წლის 2 ივნისს რესტორან ,,ვინოტელი“-ში ლანჩის ხარჯების ანაზღაურების მიზნით (CPV 55300000, შპს ,,აიღვინისსახლი“ - ს/კ 406128275) დაევალოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარმომადგენლობითი ხარჯის 2600.00 (ორი ათას ექვსასი) ლარის ანაზღაურება პროგრამული კოდიდან - 33 01 01 (საქართველოს კულტურის, სპორტისა და

ახალგაზრდობის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა).
2. ხარჯები ანაზღაურდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე
იოსებ ბაღათურია